პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზია

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს“ მიერ პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზია გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

ლიცენზიის მაძიებელმა პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის გამცემს უნდა წარუდგინოს:

- ✓ წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი, განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს, მოთხოვნას, განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას, განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
- ✓ იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ საქმიანობის ლიცენზიის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი, და თანდართული საბუთების ნუსხას;
- ✓ განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
- ✓ განცხადებას ასევე უნდა ერთოდეს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება;
- ✓ განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიის მისაღებად, ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად, დამატებით უნდა წარადგინოს:

ა) ფართობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფ და ფუნქციონირებად სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის შემთხვევაში – ინფორმაცია ობიექტის ადგილსამყოფელის შესახებ;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია რადიოლოგიური მომსახურების (მათ შორის, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა და რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა) განხორციელების შემთხვევაში. აღნიშნული მოთხოვნა არ ეხება ულტრაბგერით დიაგნოსტიკას;

გ) დეკლარაცია სალიცენზიო პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობის შესახებ, დამოწმებული ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი პირის მიერ (დანართი №1[1]);

პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზიის მფლობელი უნდა აკმაყოფილებდეს თანდართულ შესაბამის მოთხოვნებს (დანართი №1[5]).

პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიის მისაღებად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად, უნდა დააკმაყოფილოს პათოლოგანატომიური საქმიანობის სალიცენზიო პირობების საერთო მოთხოვნები და, საქმიანობის შესაბამისად, დამატებითი სალიცენზიო მოთხოვნები №1[5] დანართის მიხედვით. პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მხოლოდ შესაბამისი სალიცენზიო დანართ(ებ)ით.

თუ პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი დამატებით დააპირებს იმ მომსახურების განხორციელებას, რომლისთვისაც ამ დადგენილების №1[5] დანართით განსაზღვრულია დამატებითი სალიცენზიო მოთხოვნები:

ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, დააკმაყოფილოს ამ საქმიანობისათვის აუცილებელი დამატებითი მოთხოვნები №1[5] დანართის შესაბამისად;

ბ) ლიცენზიის მფლობელის მიერ დამატებით სალიცენზიო მოთხოვნებს დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, სააგენტოს მიერ მოწმდება მხოლოდ ამ საქმიანობისათვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნები;

გ) დამატებითი სალიცენზიო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააგენტო გასცემს ლიცენზიის დანართს.

დანართი №1[1]

სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის დეკლარაცია

წარედგინება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს. დეკლარაცია მოიცავს ინფორმაციას შესაბამისი სალიცენზიო პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველყოფის შესახებ.

_____

_____

ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზიის მფლობელის დასახელება და მისამართი

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (სახელი, გვარი)

ლიცენზიის და სალიცენზიო დანართ(ებ)ის დასახელება

ბ.ა.

წარმოდგენილი მონაცემების სისწორეს ვადასტურებ: _____

_____

თარიღი _____

დანართი №1[5]

პათოლოგანატომიური საქმიანობის სალიცენზიო პირობები

№	საერთო მოთხოვნები	შენიშვნა
1.	ინფრასტრუქტურა და საშუალებები პირადი ჰიგიენის დაცვისთვის, შენობის დასუფთავებისა და დეზინფექციისათვის (წყალმომარაგება, საპირფარეშო(ები), ჰიგიენისა და სადეზინფექციო საშუალებები)	პათოლოგანატომიური სერვისის სხვა სამედიცინო სერვის(ებ)თან ინტეგრირების შემთხვევაში, შესაძლებელია, აღნიშნულ მიმდებარედ განთავსებულ სერვის(ებ)თან საერთო საპირფარეშო(ები)ს არსებობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პათოლოგანატომიური სერვისის მიმწოდებელი ახორციელებს აუტოფსიურ საქმიანობას.
2.	სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო სეგრეგაციის, შეგროვების, შენახვის, გატანის, უტილიზაციის ან/და განადგურების კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფა	შესაძლებელია, განხორციელდეს უშუალოდ ლიცენზიის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე.
3.	დეზინფექციისა და სტერილიზაციის სათანადო რეჟიმითა და შესაბამისი აღრიცხვით უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილი წესით	მრავალჯერადი გამოყენების სამედიცინო იარაღების, საგნებისა და მასალების გამოყენების შემთხვევაში.
4.	პერსონალის სათანადო სერტიფიკატი/კვალიფიკაცია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად	
5.	დოკუმენტაციის (მ.შ., სტატისტიკური) კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოება	
	დამატებითი სალიცენზიო მოთხოვნები [1]	
I.	**დამატებითი მოთხოვნები „აუტოფსიური საქმიანობის“ მიმწოდებელი სუბიექტებისათვის**	
1.	საქმიანობის განხორციელება ფართობზე, რომელიც იზოლირებულია სხვა ფართობისაგან და რომელსაც აქვს იზოლირებული შესასვლელი (მ.შ., ავტოსატრანსპორტო საშუალების მისადგომად)	დაუშვებელია საქმიანობის განხორციელება ფართობზე, რომელიც განთავსებულია კვების ბლოკისა და საკვები პროდუქტების საწყობის/საწარმოს მიმდებარედ.
2.	ქიმიური დამუშავებისადმი (დასუფთავებისადმი) მდგრადი მასალით დამზადებული სასექციო მაგიდ(ებ)ი და სატრანსპორტო საშუალებები (ურიკ(ებ)ი, საკაცე(ები) და ა. შ.)	

3.	სამაცივრო დანადგარითა და ქიმიური დამუშავებისადმი (დასუფთავებისადმი) მდგრადი მასალით დამზადებული სპეციალური თარო(ებ)ით აღჭურვილი გვამების შესანახი სათავსი	შესაძლებელია, ინტეგრირებულ იქნეს სასექციოში, სივრცობრივი ზონირების[2] პრინციპის დაცვით.
4.	სასექციოს უზრუნველყოფა გამწოვი ვენტილაციით	
5.	ჰისტოპათოლოგიური დიაგნოსტიკური სერვისის მიწოდება	შესაძლებელია, განხორციელდეს უშუალოდ ლიცენზიის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე.
II.	**დამატებითი მოთხოვნები „ჰისტოპათოლოგიური დიაგნოსტიკის“ სერვისის მიმწოდებელი სუბიექტებისათვის**	
1.	სივრცე მასალის მიღებისთვის, რეგისტრაციისა და დახარისხებისათვის იზოლირებული უნდა იყოს სხვა სივრცეებისგან	აღნიშნული სერვისის სხვა (მ.შ., არაპათოლოგანატომიურ სამედიცინო) სერვისებთან ინტეგრირების შემთხვევაში, შესაძლებელია, ერთიანი საოფისე სივრცის არსებობა.
2.	შემდეგი ფუნქციური სივრცეები: ა) სივრცე მასალის მაკროსკოპული დამუშავებისათვის, სადაც არის სველი წერტილი (ხელსაბანი გამდინარე წყლით); ბ) სივრცე გამყინავი მიკროტომისათვის; გ) სივრცე პათოჰისტოლოგიური ლაბორატორიისთვის (სადაც ხორციელდება მასალის ავტომატური (ან მანუალური) პროცესირება, ქსოვილის ჩაყალიბება პარაფინში, მიკროტომზე დაჭრა და შეღებვა); დ) სივრცე მინების, ბლოკებისა და დოკუმენტების არქივისთვის; ე) პათოლოგანატომის სამუშაო სივრცე	ა) შესაბამისი კვლევების (ელექტრონული მიკროსკოპია და იმუნოფლუორესცენტული კვლევები) წარმოების შემთხვევაში, დამატებით უნდა იყოს გათვალისწინებული სივრცე ელექტრონული მიკროსკოპიისათვის/ სივრცე იმუნოფლუორესცენტული მიკროსკოპიისათვის; ბ) საერთო სათავსი ყველა სივრცისთვის, გარდა მაკროსკოპული დამუშავებისათვის საჭირო სივრცისა (საერთო სათავსის არსებობისას დაცული უნდა იქნეს სივრცობრივი ზონირება). სივრცე მასალის მაკროსკოპული დამუშავებისათვის იზოლირებული[3] უნდა იყოს სხვა სივრცეებისაგან; გ) გამყინავი მიკროტომის არსებობა აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს მხოლოდ ინტრაოპერაციული ექსპრესდიაგნოსტიკის წარმოების შემთხვევაში; დ) რამდენიმე პათომორფოლოგიური სერვისის ინტეგრირების შემთხვევაში, შესაძლებელია, შესაბამისი ფუნქციური სივრცეების ინტეგრირება.
3.	მაგიდები (მასალის მაკროსკოპული დამუშავებისათვის), რომლებიც დამზადებულია ქიმიური დამუშავებისადმი (დასუფთავებისადმი) მდგრადი მასალით	
4.	ნიჟარები, რომლებიც დამზადებულია ქიმიური დამუშავებისადმი (დასუფთავებისადმი) მდგრადი მასალით	
5.	მაკროსკოპული დამუშავებისათვის საჭირო იარაღები, რომლებიც დამზადებულია ქიმიური დამუშავებისადმი (დასუფთავებისადმი) მდგრადი მასალით	
6.	მასალის პროცესირების ავტომატიზებული ან მანუალური სისტემა	მანუალური პროცესირების სისტემის შემთხვევაში – ჭურჭელი მასალის დამუშავებისათვის.

7.	მასალის პარაფინში ჩაყალიბებისათვის აუცილებელი დანადგარ(ებ)ი – ჩასაყალიბებელი სადგური (embedding station)	
8.	მიკროტომი	შესაძლებელია საერთო სხვა პათოლოგანატომიურ სერვისებთან.
9.	პრეპარატის საშრობი ზედაპირი (ე.წ. „უთო“)	ა) შესაძლებელია სხვა ფუნქციურად ანალოგიური აღჭურვილობის (მ.შ. თერმოსტატის) გამოყენება; ბ) შესაძლებელია საერთო სხვა პათოლოგანატომიურ სერვისებთან.
10.	პრეპარატის შეღებვის ავტომატიზებული ან მანუალური სისტემა	ა) მანუალური შეღებვის სისტემის შემთხვევაში – ჭურჭელი პრეპარატის შეღებვისათვის; ბ) პრეპარატის შეღებვის ავტომატიზებული სისტემა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს სხვა პათოლოგანატომიური კვლევების შემთხვევაშიც.
11.	ფუნქციონირებადი, გამართულ მდგომარეობაში მყოფი მიკროსკოპი	რამდენიმე პათოლოგანატომიური სერვისის ინტეგრირების შემთხვევაში, შესაძლებელია, ერთი მიკროსკოპის არსებობა.
12.	თერმოსტატი	აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს მხოლოდ მანუალური პროცესირების შემთხვევაში.
13.	მშრალი არქივი	სივრცე კარადა/კონტეინერებისთვის, რომელშიც ხორციელდება პარაფინული ბლოკებისა და მინების შენახვა (მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით).
14.	სველი არქივი	სივრცე (უზრუნველყოფილი გამწოვი ვენტილაციით) კონტეინერებისათვის ფიქსირებული ნედლი მასალის შესანახად (ფიქსირებული ნედლი მასალა ინახება საბოლოო დიაგნოზის გაფორმებამდე, დიაგნოზის გაფორმების შემდგომ მასალა ექვემდებარება უტილიზაციას, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესის თანახმად).
15.	იზოლირებული გამწოვი ვენტილაციის სისტემა	ესაჭიროება ყველა სივრცეს, გარდა მასალის მიღებისთვის, რეგისტრაციისა და დახარისხებისათვის განკუთვნილი სივრცისა. ამასთან, თუ მინების, ბლოკებისა და დოკუმენტების არქივი და პათოლოგანატომის სამუშაო სივრცე წარმოადგენს იზოლირებულ სათავსებს, მათ ვენტილაცია არ ესაჭიროებათ.
16.	ხარისხის შიდა კონტროლის უზრუნველყოფა	ა) დაწესებულებაში უნდა არსებობდეს სისტემა იმავე ან სხვა პათოლოგანატომის მიერ შემთხვევების შერჩევითი განმეორებითი დიაგნოსტიკის (3 თვეში ერთხელ) ჩატარების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს აღნიშნულის თაობაზე დოკუმენტაციის (ელექტრონული ვერსიის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინფორმაციის დაცულობა) წარმოება; ბ) დაწესებულებაში უნდა წარმოებდეს პრეპარატის მომზადების ხარისხის კონტროლი (პრეპარატის დამუშავებისა და შეღებვის ხარისხის შეფასება) პათოლოგანატომის მიერ და შედეგების დოკუმენტირება (ელექტრონული

		ვერსიის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინფორმაციის დაცულობა).
III.	**დამატებითი მოთხოვნები „ციტოპათოლოგიური დიაგნოსტიკის“ სერვისის მიმწოდებელი სუბიექტებისათვის**	
1.	სივრცე მასალის მიღებისთვის, რეგისტრაციისა და დახარისხებისათვის, იზოლირებული უნდა იყოს სხვა სივრცეებისგან	აღნიშნული სერვისის სხვა (მ.შ., არაპათოლოგანატომიურ სამედიცინო) სერვისებთან ინტეგრირების შემთხვევაში, შესაძლებელია, ერთიანი საოფისე სივრცის არსებობა.
2.	შემდეგი ფუნქციური სივრცეები: ა) სივრცე ციტოლოგიური ლაბორატორიისთვის (მასალის პროცესირებისთვის, შეღებვისა და მიკროსკოპირებისათვის); ბ) სივრცე მინებისა და დოკუმენტების არქივისთვის; გ) პათოლოგანატომის (ციტოპათოლოგის) სამუშაო სივრცე	რამდენიმე პათოლოგანატომიური სერვისის ინტეგრირების შემთხვევაში, შესაძლებელია შესაბამისი ფუნქციური სივრცეების ინტეგრირება.
3.	ცენტრიფუგა	
4.	პრეპარატის შეღებვის ავტომატიზებული ან მანუალური სისტემა	ა) მანუალური შეღებვის სისტემის შემთხვევაში – ჭურჭელი პრეპარატის შეღებვისათვის; ბ) პრეპარატის შეღებვის ავტომატიზებული სისტემა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ჰისტოპათოლოგიური კვლევების შემთხვევაშიც.
5.	ფუნქციონირებადი, გამართულ მდგომარეობაში მყოფი მიკროსკოპი	რამდენიმე პათოლოგანატომიური სერვისის ინტეგრირების შემთხვევაში, შესაძლებელია ერთი მიკროსკოპის არსებობა.
6.	თერმოსტატი	აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს მხოლოდ მანუალური პროცესირების შემთხვევაში.
7.	იზოლირებული გამწოვი ვენტილაციის სისტემა	ესაჭიროება ყველა სივრცეს, გარდა მასალის მიღებისთვის, რეგისტრაციისა და დახარისხებისათვის განკუთვნილი სივრცისა. ამასთან, თუ მინებისა და დოკუმენტების არქივი და პათოლოგანატომის სამუშაო სივრცე წარმოადგენს იზოლირებულ სათავსებს, მათ ვენტილაცია არ ესაჭიროებათ.
8.	მშრალი არქივი	სივრცე (კარადა) კონტეინერებისთვის, რომელშიც ხორციელდება მინების შენახვა (მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით).
9.	ხარისხის შიდა კონტროლის უზრუნველყოფა	ა) დაწესებულებაში უნდა არსებობდეს სისტემა იმავე ან სხვა პათოლოგანატომის მიერ შემთხვევების შერჩევითი განმეორებითი დიაგნოსტიკის (3 თვეში ერთხელ) ჩატარების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს აღნიშნულის თაობაზე დოკუმენტაციის (ელექტრონული ვერსიის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინფორმაციის დაცულობა) წარმოება; ბ) დაწესებულებაში უნდა წარმოებდეს პრეპარატის მომზადების ხარისხის კონტროლი (პრეპარატის დამუშავებისა და შეღებვის ხარისხის შეფასება) პათოლოგანატომის მიერ და შედეგების დოკუმენტირება (ელექტრონული

		ვერსიის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინფორმაციის დაცულობა).
IV.	**დამატებითი მოთხოვნები „მოლეკულურ-პათოლოგიური დიაგნოსტიკის“ სერვისის მიმწოდებელი სუბიექტებისათვის**	
1.	სივრცე მასალის მიღებისთვის, რეგისტრაციისა და დახარისხებისათვის იზოლირებული უნდა იყოს სხვა სივრცეებისგან	აღნიშნული სერვისის სხვა (მ.შ. არაპათოლოგანატომიურ სამედიცინო) სერვისებთან ინტეგრირების შემთხვევაში, შესაძლებელია ერთიანი საოფისე სივრცის არსებობა.
2.	შემდეგი ფუნქციური სივრცეები: ა) სივრცე მოლეკულური პათოლოგიის ლაბორატორიისთვის (სადაც ხორციელდება მასალის მიკროტომზე დაჭრა, ანტიგენების აღდგენა და მოლეკულურ-პათოლოგიური რეაქციები); ბ) სივრცე დოკუმენტების არქივისთვის; გ) პათოლოგანატომის სამუშაო სივრცე	რამდენიმე პათოლოგანატომიური სერვისის ინტეგრირების შემთხვევაში, შესაძლებელია შესაბამისი ფუნქციური სივრცეების ინტეგრირება.
3.	მიკროტომი	შესაძლებელია საერთო სხვა პათომორფოლოგიურ სერვისებთან.
4.	პრეპარატის საშრობი ზედაპირი (ე.წ. „უთო“)	ა) შესაძლებელია სხვა ფუნქციურად ანალოგიური აღჭურვილობის (მ.შ., თერმოსტატის) გამოყენება; ბ) შესაძლებელია საერთო სხვა პათოლოგანატომიურ სერვისებთან.
5.	მაცივარი (რეაქტივებისათვის), ორი ტემპერატურული რეჟიმით	
6.	სხვადასხვა ზომის პიპეტები ან ვარიაბელური პიპეტი	
7.	ფუნქციონირებადი, გამართულ მდგომარეობაში მყოფი მიკროსკოპი	რამდენიმე პათოლოგანატომიური სერვისის ინტეგრირების შემთხვევაში, შესაძლებელია ერთი მიკროსკოპის არსებობა.
8.	თერმოსტატი	აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს მხოლოდ მანუალური პროცესირების შემთხვევაში.
9.	იზოლირებული გამწოვი ვენტილაციის სისტემა	ესაჭიროება ყველა სივრცეს, გარდა მასალის მიღებისთვის, რეგისტრაციისა და დახარისხებისათვის განკუთვნილი სივრცისა. ამასთან, თუ დოკუმენტების არქივი და პათოლოგანატომის სამუშაო სივრცე წარმოადგენს იზოლირებულ სათავსებს, მათ ვენტილაცია არ ესაჭიროებათ.
10.	ხარისხის შიდა კონტროლის უზრუნველყოფა	ა) დაწესებულებაში უნდა არსებობდეს სისტემა იმავე ან სხვა პათოლოგანატომის მიერ შემთხვევების შერჩევითი განმეორებითი დიაგნოსტიკის (3 თვეში ერთხელ) ჩატარების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს აღნიშნულის თაობაზე დოკუმენტაციის (ელექტრონული ვერსიის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინფორმაციის დაცულობა) წარმოება; ბ) დაწესებულებაში უნდა წარმოებდეს პრეპარატის მომზადების ხარისხის კონტროლი (პრეპარატის დამუშავებისა და შეღებვის ხარისხის შეფასება) პათოლოგანატომის მიერ

		და შედეგების დოკუმენტირება (ელექტრონული ვერსიის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინფორმაციის დაცულობა).

1 სალიცენზიო დანართ(ებ)ი გაიცემა I, II, III და IV პუნქტებზე.

2 სივრცობრივი ზონირება არ ნიშნავს იზოლირებას.

3 იზოლირებული – ცალკე სათავსი ან განცალკევებული, იზოლირებული ფართობი, რომელიც შემოსაზღვრულია სრული სტაციონარული ტიპის ტიხრ(ებ)ით.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით პათოლოგანატომიური საქმიანობისთვის დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებელი განსაზღვრულია 112 ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები

- ✓ „საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=111
- ✓ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბერის №385 დადგენილება „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“

  https://matsne.gov.ge/ka/document/view/1150800?publication=52
- ✓ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86